



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency

საავიაციო მოვლენათა ანალიზის ანგარიში

2022 წელი

© დოკუმენტი შემუშავებულია 2023 წელს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ.

მასალის გამოყენების პირობები: უსაფრთხოების საკითხის სენსიტიურობის, საავიაციო დარგისათვის დამახასიათებელი კონტექსტის, სპეციფიკის და ტექნიკური ტერმინოლოგიის სირთულის გათვალისწინებით, დაუმუშავებელია დოკუმენტის, ტექსტში მოყვანილი ცალკეული თავების, ინფორმაციის ან მისი ნაწილის მედია გაშუქება, სხვა ვებ-გვერდებზე, თუ ბეჭდურ გამოცემებში გამოქვეყნება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანხმობის გარეშე.



საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა საქართველოში (ძირითადი ასპექტები)

რა არის საავიაციო მოვლენა?

საავიაციო მოვლენა - ეს არის საავიაციო შემთხვევა, სერიოზული ინციდენტი ან ინციდენტი, აგრეთვე, საჰაერო ხომალდის და/ან მისი სისტემის გაუმართაობა, სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებული სისტემების და ტექნიკური საშუალებების მტყუნება ან სხვა სახის უჩვეულო ვითარება, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა ან რომელსაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა ფრენის უსაფრთხოებაზე.

რა არის საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა?

საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა წარმოადგენს საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლების მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ავსებს საავიაციო დარგის ტექნიკური და სამართლებრივი რეგულირების, ასევე მუდმივი ზედამხედველობის არსებულ მექანიზმებს. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინებას, შეგროვებას, ანალიზს, შენახვას, დაცვას და გავრცელებას. მოვლენათა შეტყობინების სისტემის მიზანია საავიაციო მოვლენებისა თავიდან აცილება და არა ვინმეს ბრალეულობისა და/ან პასუხისმგებლობის დადგენა.

როდის და რატომ დაინერგა საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა?

საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა მსოფლიოში პირველად 2006-2010 წლებში დაინერგა. ამგვარი შეტყობინებების გაკეთების აუცილებლობა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ საინსპექციო შემოწმების დროს ვლინდებოდა ფაქტები, როცა ავიასაწარმოში დასაქმებული თანამშრომლები ხშირ შემთხვევაში არ ამხელდნენ ამა თუ იმ საავიაციო მოვლენას იმ მიზეზით, რომ მოხდებოდა მათი ბრალეულობის დადგენა და დასჯა. გამომდინარე აქედან, არსებობდა ინფორმაციის გავრცელების შიში, რაც ფრენების უსაფრთხოებისადმი დამოკიდებულების, ერთგვარი კულტურის ნაკლებობის მიმანიშნებელი იყო. საქართველოში საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ 2014 წელს დაინერგა.

ვის ვატყობინებთ საავიაციო მოვლენას?

საქართველოში საავიაციო მოვლენების შეტყობინება ხდება სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის. სააგენტო უზრუნველყოფს საავიაციო მოვლენების შესახებ სავალდებულო და ნებაყოფლობითი ფორმით მიღებული შეტყობინებების შეგროვებას. სააგენტო აანალიზებს და ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, საჭიროებისამებრ ახორციელებს შესაბამის ინსპექტირებას ავიასაწარმო(ებ)ში, რათა დადგინდეს, გატარდა თუ არა პრევენციული ღონისძიებები შეტყობინების სახით შემოსულ საავიაციო მოვლენაზე, საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს მითითებებს და ახორციელებს აღნიშნული მითითებების შესრულების ზედამხედველობას.

ვინ არის ვალდებული სააგენტოს შეტყობინოს საავიაციო მოვლენები?

საავიაციო მოვლენათა შეტყობინება სავალდებულოა ავიასაწარმოში დასაქმებული შემდეგი პირებისთვის: საჰაერო ხომალდის მეთაურები, ხოლო თუ მათ არ შეუძლიათ შეტყობინების წარდგენა - ეკიპაჟის თანამდებობით მომღვენო წევრები, პირები, რომლებიც ახორციელებენ ხომალდის ან მისი მოწყობილობის, ცალკეული შემადგენელი ნაწილის დამზადებას, ტექნიკურ მომსახურებას ან მოდიფიცირებას, საჰაერო მოძრაობის მართვის მეთვალყურეები, საავიაციო მეტეოროლოგები, პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სააერნაოსნო მომსახურების გაწევისას გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა მონტაჟთან/მომსახურებასთან, პირები რომლებიც ასრულებენ ხომალდის ხმელეთზე მომსახურებას, აეროდრომის ტექნიკურ მომსახურებას, სააეროდრომო შექტექნიკური აღჭურვილობის მომსახურებასთან დაკავშირებულ ფუნქციებს.

რომელი საავიაციო მოვლენები ექვემდებარება სავალდებულო შეტყობინებას?

სავალდებულო შეტყობინებას ექვემდებარება: საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საავიაციო მოვლენები (მაგალითად: სამიმოსვლო ბილიკიდან ან ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან გადასვლა), ტექნიკური მოვლენები (მაგალითად: სისტემის მტყუნება, ძალური დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა), ავარიული ვითარებები, გარემო ფაქტორებთან და მეტეოროლოგიასთან დაკავშირებული მოვლენები, საავიაციო უშიშროებასთან დაკავშირებული მოვლენები (მაგალითად, საჰაერო ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება), სააერნაოსნო მომსახურებასა და საშუალებებთან დაკავშირებული საავიაციო მოვლენები და სხვა ნებისმიერი მოვლენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეუძლო საფრთხე შეექმნა საქართველოს საჰაერო სივრცეში ან საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო

რეესტრში მყოფ სამოქალაქო საჰაერო ხომალდისთვის, მასზე მყოფი ან სხვა ნებისმიერი პირისათვის, ასევე მოწყობილობებისა და დანადგარებისათვის.

როგორ და რა ვადებში უნდა მოხდეს სავალდებულო შეტყობინების გამოგზავნა?

საავიაციო მოვლენის შესახებ სავალდებულო შეტყობინება წარდგენილი უნდა იქნეს მოვლენის მოხდენიდან შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 72 საათისა. პირებმა საავიაციო მოვლენების შესახებ შეტყობინება უნდა განახორციელონ სააგენტოს ვებგვერდზე (www.gcaa.ge) გამოქვეყნებული ფორმების შესაბამისად. ამისათვის, მათ უნდა გადმოტვირთონ შესაბამისი ფორმა, შეავსონ სავალდებულო და საჭირო ველები, შეინახონ და ფორმაში მითითებულ მისამართზე (safety@gcaa.ge) გადმოაგზავნონ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

რა არის ნებაყოფლობითი შეტყობინება და ვის შეუძლია მისი გამოგზავნა?

ნებისმიერ პირს აქვს უფლება შეატყობინოს სააგენტოს იმ საავიაციო მოვლენის შესახებ, რომლის მონაწილე ან მომსწრე იყო და თვლის, რომ მოვლენა წარმოადგენდა ფრენის უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საფრთხეს, ან მან რისკის ქვეშ დააყენა საჰაერო მოძრაობის უსაფრთხო მართვა. ამისათვის, მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ სააგენტოს დაუკავშირდნენ კომუნიკაციის ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით (ტელეფონი, ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი) ან შეავსონ ნებაყოფლობითი შეტყობინების ფორმა სააგენტოს ვებ-გვერდზე: www.gcaa.ge.

კონფიდენციალურობა

სააგენტო სავალდებულო და ნებაყოფლობითი შეტყობინებებით მიღებულ ინფორმაციას იყენებს მხოლოდ საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით და ატარებს ყველა აუცილებელ დონის ძიებას, საავიაციო მოვლენის შეტყობინებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დასაცავად, რაც გულისხმობს ინფორმაციის მომწოდებელი პირის პირადი მონაცემების ანონიმურობის უზრუნველყოფას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა ან შესაბამისი პირის თანხმობისა. სააგენტო მის მონაცემთა ბაზაში დაცულ პერსონალურ მონაცემებს ინახავს დეიდენტიფიცირებულ მდგომარეობაში.

არადამსჯელობითი გარემო

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აუცილებელი მოთხოვნაა საავიაციო მოვლენათა შეტყობინებებთან მიმართებაში ავიასაწარმოებში არადამსჯელობითი გარემოს დანერგვა და ხელშეწყობა. ავიასაწარმომ არ უნდა განადოს ხელმისაწვდომი და არ უნდა გამოიყენოს საავიაციო მოვლენის შესახებ ინფორმაცია მის დადგომაში ბრალეული ან პასუხისმგებელი პირების გამოსავლენად, ან იმ მიზნით, რომელიც არ უკავშირდება საავიაციო უსაფრთხოების დონის შენარჩუნებას ან ამაღლებას.

როგორია სამართლებრივი ჩარჩო?

საერთაშორისო დონეზე, საავიაციო მოვლენათა შეტყობინების ძირითადი სტანდარტები და რეკომენდირებული პრაქტიკა გაწერილია ჩიკაგოს კონვენციის მე-19 დანართში. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, რეგიონში ერთ-ერთი პირველმა დანერგა საავიაციო მოვლენათა შეტყობინების წესი ევროკავშირის რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად (EU Reg. 376/2014). წესი 2014 წლის 5 თებერვალს დამტკიცდა, თუმცა ამოქმედების ვადად განისაზღვრა 1 ივლისი. გარდამავალი პერიოდი გამოყენებული იყო ავისაწარმოებში წესის დანერგვისთვის საჭირო ქმედებების განსახორციელებლად. სააგენტოს მიერ, მათ შორის EUROCONTROL-ის ექსპერტების მონაწილეობით, ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელთა ფარგლებშიც ავისაწარმოები ეცნობოდნენ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ვალდებულებებს.

2022 წლის განმავლობაში შემოსული საავიაციო მოვლენების ანალიზი


1.1 ზოგადი მიმოხილვა

საჯარო ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დაფიქსირებული საავიაციო მოვლენების დეიდენტიფიცირებულ სტატისტიკურ მონაცემებს და მათ ანალიზს. დოკუმენტის გამოქვეყნების მიზანია, საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემის მიმართ ცნობიერების ამაღლება და ფრენების უსაფრთხოების დონის ამაღლების პროცესში არსებული ტენდენციების ჩვენება, რათა სააგენტოს სერვისების მომხმარებლებს, მგზავრებს და ავიაციით დაინტერესებულ პირებს შეეძინათ ზოგადი წარმოდგენა, თუ რა მიზნებს ემსახურება მოვლენათა შეტყობინების მექანიზმი და რატომ არის თითოეული ადამიანის ჩართულობა მნიშვნელოვანი ამ პროცესში.

ამასთან, საავიაციო უსაფრთხოების ანგარიშის გამოქვეყნების საფუძველს წარმოადგენს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 5 თებერვლის №17 ბრძანებით დამტკიცებული „სავიაციო მოვლენათა შეტყობინების და სავიაციო მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი“, რომლის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ყოველწლიურად გამოაქვეყნოს საავიაციო უსაფრთხოების შესახებ ანგარიში, სადაც ასახული იქნება საავიაციო მოვლენათა ანალიზის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია.

1.2 საავიაციო მოვლენათა შეტყობინება

2022 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სხვადასხვა წყაროებიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში შემოვიდა 445 შეტყობინება. აღნიშნული მოვლენებიდან დაფიქსირდა 341 საავიაციო მოვლენა. როგორც №-1 გრაფიკზეა ნაჩვენები, წინა წელთან შედარებით, შემოსული შეტყობინებების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 35%-ით, ხოლო საავიაციო მოვლენების რაოდენობა - დაახლოებით 39%-ით, რაც დადებითი ტენდენციაა.




გრაფიკული გამოსახულება 1
შემოსული შეტყობინებები და საავიაციო მოვლენები წლების მიხედვით

აღსანიშნავია, რომ პოზიტიურია ტენდენცია 2019 წელთან შედარებითაც. კერძოდ, შეტყობინების რაოდენობა 12,37%-ით და საავიაციო მოვლენების რაოდენობა 3.3 %-ით გაიზარდა.

2022 წლის განმავლობაში, სააგენტოში შემოვიდა 4 ნებაყოფლობითი შეტყობინება.

საჰაერო ხომალდების ოპერირების კუთხით 2022 წელს აღინიშნება ზრდა. როგორც მე-2 გრაფიკში ჩანს, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, გადამფრენი საჰაერო ხომალდების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 83 (82.55) პროცენტით, ხოლო ამფრენ/დამფრენი საჰაერო ხომალდების რაოდენობა ჯამურად გაიზარდა 41 პროცენტით.



გრაფიკული გამოსახულება 2
 შესრულებული ფრენების რაოდენობა ჯამურად (სადაზღვრული/ამფრენი-სადაზღვრული)

მთლიანობაში, საჭაერო მოძრაობა თითქმის გაუტოლდა პრე-პანდემიურ 2019 წლის მაჩვენებელს და გაიზარდა 2018 წლის მაჩვენებლებთან მიმართებაში.


მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ საავიაციო მოვლენათა შესახებ შეტყობინებათა რიცხვის ზრდა ან მათი შემცირება არ მიუთითებს საავიაციო უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარების გაუარესებას ან გაუმჯობესებას. რაოდენობის ზრდა პირველ რიგში მიანიშნებს იმას, რომ საავიაციო მოვლენათა შეტყობინების კულტურა იზრდება ავიასაწარმოებში და ჩართული პირები უფრო მეტად იაზრებენ პროცესის მნიშვნელობას, არადასჯელობით გარემოს და სხვა ფაქტორებს. ამასთან, დაფიქსირებული მონაცემები პროპორციული უნდა იყოს საავიაციო ინდუსტრიის და საჭაერო მიმოსვლის ზრდის მაჩვენებლებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტია ოპერირება, მით მეტია მოვლენათა რაოდენობა.

გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მეტი სავალდებულო და ნებაყოფლობითი შეტყობინება იქნება შემოსული სააგენტოში და შემდგომ უწყების მიერ შესწავლილი და გაანალიზებული, მით უფრო ზუსტი სურათი გვაქნება ფრენების უსაფრთხოების მდგომარეობასთან დაკავშირებით ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, მაქსიმალური ძალისხმევა მოხმარდეს საავიაციო მოვლენათა სავალდებულო შეტყობინების მექანიზმის სრულ ამოქმედებას დარგის ყველა ქვე-სექტორში და მომხმარებლების ჩართულობის გაზრდას ნებაყოფლობითი შეტყობინებების მოწოდების კუთხით.

1.3 საავიაციო მოვლენათა კლასი

2022 წლის განმავლობაში სააგენტოში შემოსული 341 საავიაციო მოვლენიდან დაფიქსირდა:

- 2 საავიაციო შემთხვევა (დაფიქსირებული საავიაციო შემთხვევები უკავშირდება პარაგლაიდით ოპერირებას);
- 9 სერიოზული ინციდენტი (დაფიქსირებული სერიოზული ინციდენტებიდან 2 უკავშირდება ავიაკომპანიის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს, რის გამოც ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი ავიაკომპანიების უსაფრთხო ფუნქციონირება. 6 საავიაციო მოვლენა უკავშირდება საჰაერო ხომალდის სახიფათო მიახლოებას მეორე საჰაერო ხომალდთან ჰაერში, აქედან 5 მოხდა საქართველოს საჰაერო სივრცეში ხოლო 1 საქართველოს საზღვრებს გარეთ. 1 საავიაციო მოვლენა უკავშირდება საჰაერო ხომალდის ოპერირებას;
- 230 ინციდენტი (ინციდენტების შესახებ ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოცემულ ანგარიშში).



გრაფიკული გამოსახულება 3
საავიაციო მოვლენების კლასი


სულ, 2022 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ საავიაციო შემთხვევების შედეგად დაიღუპა 2 ადამიანი (პარაგლაიდით ოპერირება). 2023 წლიდან, აღნიშნული მიმართულება (პარაგლაიდით ოპერირება) არ იქნება განხილული როგორც სამოქალაქო ავიაციის პასუხისმგებლობაში მყოფი სფერო.

2021 წლის განმავლობაში ყველაზე ხშირად დაფიქსირებული საავიაციო მოვლენების ხუთეული კატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება:

- სააერონავიგაციო მომსახურებასთან დაკავშირებული საავიაციო მოვლენა (100);
- ფრინველებთან შეჯახება (76);
- საავიაციო უშიშროებასთან დაკავშირებული საავიაციო მოვლენა (30);
- საჰაერო ხომალდის კომპონენტის ან სისტემის მტყუნება (24);
- საჰაერო ხომალდის საჰაერო სივრცეში ორიენტირება (24);
- აეროდრომის ოპერირება (13).

1.4 საავიაციო მოვლენების შეტყობინების კულტურა

სააგენტოს მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საავიაციო მოვლენების შეტყობინების კულტურა 2022 წლის მდგომარეობით შემცირდა 19 %-ით წინა წელთან შედარებით, თუმცა 5 წლის მონაცემებით პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება. დაანგარიშებისას გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიაზე ამფრენი, დამფრენი და გადამფრენი საჰაერო ხომალდების რაოდენობის ჯამის და წლის განმავლობაში მიღებული საავიაციო მოვლენების რაოდენობის შეფარდება 10000 ფრენაზე¹.



გრაფიკული გამოსახულება 4
საავიაციო მოვლენების შეტყობინების კულტურა

¹ Reporting Rate = (N*10 000)/M, სადაც R level არის შეტყობინების ინდექსი, N არის საავიაციო მოვლენების შეტყობინებების რაოდენობა, ხოლო M - შესრულებული აფრენა/დაფრენის და გადამფრენი სხ-ს ჯამური რაოდენობა


აქვე აღსანიშნავია, რომ ავიასაწარმოების მუშაობის მოცულობის დონე განსხვავებულია და მხოლოდ შემოსული შეტყობინების რაოდენობების დახარისხება არ იძლევა რეალური მდგომარეობის ამსახველ სურათს, თუ როგორი არის საავიაციო შეტყობინების კულტურა ამა თუ იმ ავიასაწარმოში. საქართველოში რეგისტრირებული ავიასაწარმოების შეტყობინებების კულტურის დეტალური მონაცემები ასახულია სააგენტოს შიდა ანგარიშში.

1.5 საავიაციო მოვლენათა რისკის სიმძიმე

საავიაციო მოვლენათა შეტყობინების წესის მოთხოვნების შესაბამისად, ყველა საავიაციო მოვლენა უნდა შეფასდეს ან მოკვლევად იქნას ავიასაწარმოს მიერ, რათა დადგინდეს რისკის სიმძიმის დონე. ყველა საავიაციო მოვლენა, რომელიც კლასიფიცირდება როგორც ინციდენტი, სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით არის მწვანე ზონაში, რაც იმას ნიშნავს რომ არის დაბალი რისკის მატარებელი.

შემოსული შეტყობინებების საფუძველზე სააგენტოს მიერ, შიდა მოხმარებისთვის მომზადდა დეტალური ანალიზი არამარტო საავიაციო მოვლენის კატეგორიზაციასთან, არამედ ავიასაწარმოებთან მიმართებაშიც, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ავიასაწარმოში საავიაციო მოვლენების შეტყობინების კულტურის შეფასებას. ასევე, სააგენტომ გაანალიზა საავიაციო მოვლენები რისკის სიმძიმის მიხედვით და შეიმუშავა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები და რეკომენდაციები.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაზე კი, ასახულია სააგენტოს მიერ დახარისხებული საავიაციო მოვლენები - რისკის სიმძიმის მიხედვით.



გრაფიკული გამოსახულება 5
საავიაციო მოვლენების რისკის სიმძიმე

როგორც თვალნათლივ ჩანს, დაფიქსირებული მოვლენების ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება დაბალი რისკის კატეგორიას. საავიაციო მოვლენათა რისკების კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო ევროკავშირის საავიაციო მოვლენათა მონაცემთა ბაზაში (ECCAIRS) იმყოფება მწვანე ზონაში.

1.4 საავიაციო მოვლენათა ზოგადი მიმოხილვა

2022 წლის პირველის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სააგენტოში დაფიქსირდა 107 საავიაციო მოვლენა, რომელიც უკავშირდება სხ-ის ექსპლუატაციას საქართველოს საჰაერო სივრცეში და საქართველოში რეგისტრირებულ სხ-ს ოპერირებას საზღვრებს გარეთ. აქედან, 87 საავიაციო მოვლენა მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე.

საჰაერო ხომალდის ოპერირების ტიპის მიხედვით საავიაციო მოვლენები განაწილდა შემდეგნაირად:

სატრანსპორტო ავიაცია - 93²
სახელმწიფო ავიაცია - 4
საერთო დანიშნულების ავიაცია - 6
საავიაციო სამუშაოები - 0
დაუდგენელი - 4

დაფიქსირებული 107 საავიაციო მოვლენიდან 2 კლასიფიცირდება როგორც საავიაციო შემთხვევა, 3 სერიოზული ინციდენტი, ხოლო 103 - ინციდენტი.

2022 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სააგენტოში დაფიქსირდა 93 საავიაციო მოვლენა, რომელიც უკავშირდება სატრანსპორტო ავიაციას. 93 საავიაციო მოვლენიდან რომელიც უკავშირდება სატრანსპორტო ავიაციას, 48 საავიაციო მოვლენა უკავშირდება საჰაერო ხომალდის ოპერირებას.

2022 წელს, დაფიქსირდა 44 საავიაციო მოვლენა რომელიც უკავშირდება სხ-ის ვარგისობას. აქედან 23 მოვლენაში მონაწილეობდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდები.

2022 წელს, სააგენტოში დაფიქსირდა 6 საავიაციო მოვლენა (5-სხ-ს ექსპლოატაცია, 1 - სხ-ს ვარგისობა), რომელიც უკავშირდება საერთო დანიშნულების ავიაციას. 2022 წელს,

² სატრანსპორტო ავიაცია (Commercial Air Transport) – სამოქალაქო ავიაცია, რომელიც გამოიყენება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის განსახორციელებლად; საერთო დანიშნულების ავიაცია (General Aviation) – სამოქალაქო ავიაცია, რომელიც არ გამოიყენება სატრანსპორტო ავიაციის მიზნებისათვის და რომლის გამოყენება მოიცავს საავიაციო სამუშაოების (Specialised Operations (Aerial Work) შესრულებას; სახელმწიფო ავიაცია (Nationally Regulated Operations) – ავიაცია, რომელიც გამოიყენება სამხედრო, საპოლიციო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საბაჟო სამსახურებში;

სააგენტოში არ დაფიქსირებულა საავიაციო მოვლენა, რომელიც უკავშირდება საავიაციო სამუშაოებს.

2022 წლის განმავლობაში, სააგენტოში არ შემოსულა შეტყობინებები უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ. დაფიქსირდა 1 საავიაციო მოვლენა რომელიც სავარაუდოთ უკავშირდება უპილოტო საჰაერო ხომალდს, რადგან პილოტის შეტყობინებაზე დაყრდნობით, ფრენისას 8000 ფუტზე მის მახლობლად ფრენას ახორცილებდა „დრონი ან საჰაერო ბუშტი“.

2022 წელს, სააგენტოში დაფიქსირდა 4 საავიაციო მოვლენა რომელიც უკავშირდება სახელმწიფო ავიაციას.

2022 განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულ აეროდრომებზე განხორციელდა:

- თბილისის საერთაშორისო აეროდრომზე - 29800 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 21768);
- ქუთაისის საერთაშორისო აეროდრომზე - 6144 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 2670);
- ბათუმის საერთაშორისო აეროდრომზე განხორციელდა - 5742 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 5183);
- ამბროლაურის აეროდრომზე - 272 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 204);
- მესტიის აეროდრომზე - 712 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 415);
- ნატახტარი - 705 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 578);
- თელავი - 9769 აფრენა/დაფრენა (2021 წელი - 6291).

შენიშვნა: ინფორმაცია ფრენების რაოდენობის შესახებ მოწოდებულია აეროდრომის ექსპლუატანტების მიერ.

2022 წელს, სააგენტოში დაფიქსირდა 127 საავიაციო მოვლენა (წინა წელი 105), რომელიც უკავშირდება აეროდრომის ოპერირებას და მასთან დაკავშირებულ სერვისებს, აქედან 118 (7 საავიაციო მოვლენა - ფრინველთან შეჯახება რომლის ადგილმდებარეობა უცნობია და 2-ი დაფიქსირდა საქართველოში რეგისტრირებულ სხ-ზე უცხო ქვეყანაში.) მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე სერტიფიცირებულ აეროდრომებზე. ყველა საავიაციო მოვლენა კლასიფიცირდება როგორც ინციდენტი.

2022 წლის განმავლობაში, საქართველოში სააერონავიაციო მომსახურების საწარმო მოემსახურა 105 273 გადამფრენ საჰაერო ხომალდს რაც 2021 წელთან (57 666) შედარებით გაზრდილია 82%-ით და 42670 ამფრენ/დამფრენი საჰაერო ხომალდს რაც 2021 წელთან (30 240) შედარებით გაზრდილია 44%-ით.

2022 წელს, სააგენტოში დაფიქსირდა 108, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 106 საავიაციო მოვლენა, რომელიც უკავშირდება სააერონავიაციო მომსახურებას. აქედან 12 მოვლენა უკავშირდება საჰაერო მოძრაობის მომსახურებას, ხოლო 96 ტექნიკური საშუალების მტყუნებას

1.5 შეჯამება

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემის დანერგვის კუთხით. წესის ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა ავიასაწარმოების, საავიაციო პერსონალის დამოკიდებულება საავიაციო მოვლენათა შეტყობინების პროცესის მიმართ. სააგენტო წლებია მუშაობს არადამსჯელობითი გარემოს დამკვიდრებაზე, რომელიც მიმართულია არა პერსონალის ბრალეულობის გამოვლენაზე/დამტკიცებაზე, არამედ საავიაციო უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე და საავიაციო შემთხვევების პრევენციაზე. ამასთან, სააგენტო განაგრძობს ქმედითი ღონისძიებების გატარებას, იმისათვის რომ საავიაციო მოვლენათა შეტყობინება უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ყველა საწარმოს მხრიდან და ატარებდეს სისტემურ ხასიათს.

ისევე როგორც წინა წლებში, 2022 წლის საავიაციო მოვლენების ანალიზის შედეგად, იკვეთება, რომ სავალდებულო საავიაციო მოვლენების შეტყობინების კულტურა საჭიროებს გაუმჯობესებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა: საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობა; საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია; სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც იყენებენ საჰაერო ხომალდს და სხვ. საავიაციო მოვლენათა შეტყობინების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების ფარგლებში, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს ავიასაწარმოების მხრიდან საავიაციო მოვლენების შეტყობინების, გამომწვევი მიზეზების სრულყოფილად ასახვისა და მათი შეფასების საკითხებს. კერძოდ, როგორც ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, უნდა გაუმჯობესდეს შემდეგი ასპექტები:

- ავიასაწარმოების მხრიდან შეტყობინების მოწოდება **ყველა მომხდარ საავიაციო მოვლენაზე**;
- მომხდარი საავიაციო მოვლენის **სრულყოფილი შეფასების მექანიზმის** არსებობა ავიასაწარმოებში;
- შიდა მოკვლევებში საავიაციო მოვლენის **გამომწვევი მიზეზების სრულყოფილად ასახვა**;
- სხვადასხვა მხარეების მონაწილეობით მომხდარი ინციდენტების მოკვლევა **ყველა ჩართული მხარის** მიერ;
- მტკიცებულებების მოძიების და მათი ობიექტურად გამოყენების მექანიზმების ქონა ავიასაწარმოებში.



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency

© საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

მასალის გამოყენების პირობები: უსაფრთხოების საკითხის სენსიტიურობის, საავიაციო დარგისათვის დამახასიათებელი კონტექსტის, სპეციფიკის და ტექნიკური ტერმინოლოგიის სირთულის გათვალისწინებით, დაუმუშავებელია დოკუმენტის, ტექსტში მოყვანილი ცალკეული თავების, ინფორმაციის ან მისი ნაწილის მედია გაშუქება, სხვა ვებ-გვერდებზე, თუ ბეჭდურ გამოცემებში გამოქვეყნება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანხმობის გარეშე.

